პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი, 14 მარტი, 1944 წ. № 53 (6997). ფასი 20 კაპ.

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
არმიის გენერალ მაღინოვსკის

უკრაინის მე-3 ფრონტის ჯარებმა გადალახეს მდინარე **დნეპარი** ქვემოწელში, დაიკავეს ქალაქი **ბერისლავი**, განავითარეს შეტევა და დღეს, 13 მარტს, ქუჩებში გამართული ბრძოლების შედეგად, დაიკავეს ქალაქი **ხერსონი** — სარკინიგზო და სანაოსნო კომუნიკაციების დიდი კვანძი და გერმანელთა თავდაცვის მნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტი მდინარე **დნეპრის** შესართავთან.

ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ **ბრეჩკინის**, გენერალ-მაიორ **რუბანიუკის**, პოლკოვნიკ **მარგელოვის**, პოლკოვნიკ **დოროფეევის** ჯარებმა, არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ **ნედელინის**, არტილერიის გენერალ-მაიორ **ოსმოლოვსკის** არტილერისტებმა, სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ **სვირიდოვის** ტანკისტებმა, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ **სუდეცის** მფრინავებმა და საინჟინრო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ **კოტლიარის**, პოლკოვნიკ **სერგეევის** მეპონტონეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად ის შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე უფრო გამოიჩინეს თავი ქალაქების **ხერსონისა** და **ბერისლავის** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან **„ხერსონისა“** და **„ბერისლავის“** სახელწოდების მისანიჭებლად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 13 მარტს, 22 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი **მოსკოვი** სამშობლოს სახელით ორას ოცდაოთხი ქვემეხის ოცი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს **უკრაინის მე-3 ფრონტის** მამაც ჯარებს, რომლებმაც დაიკავეს ქალაქები **ხერსონი** და **ბერისლავი**.

საუცხოო საბრძოლო მოქმედებისათვის **მადლობას ვუცხადებ** თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ყველა ჯარს, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ქალაქების **ხერსონისა** და **ბერისლავის** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1944 წლის 13 მარტი.

გავაძლიეროთ კონტროლი სავაჭრო ორგანიზაციებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების მუშაობაზე

დიდი სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით წითელი არმია ისტორიულ გამარჯვებებს აღწევს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ სამამულო ომის ფრონტზე. უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშლის ამხანაგ სტალინის ბრძანებებს მთელი საბჭოთა ხალხი ახალი შრომითი აღმავლობით უპასუხებს. ზუროგისა და ფრონტის მჭიდრო ერთიანობაში იქნედება ვერაგ მტერზე ჩვენი სამართლიანი საქმის საბოლოო გამარჯვება.

სამამულო ომის ვითარებაში სავაჭრო ორგანიზაციებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების მოქნილ, სანმუშო მუშაობას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ისინი მოწოდებული არიან მომსახურება გაუწიონ მუშებს, მოსამსახურეებს, სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებს, დაკმაყოფილონ მათი საჭიროებანი, მომხმარებლამდე დაიყვანონ სახელმწიფოს მიერ დაწესებული ნორმების პროდუქტები.

ბევრი სავაჭრო ორგანიზაცია და საზოგადოებრივი კვების საწარმო თავისი ამოცანის ღრმა შეგნების სიმაღლეზე დგას. ისინი სანმუშოდ მუშაობენ. მაგრამ მთელ რიგ სავაჭრო ორგანიზაციებსა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებში ჯერ კიდევ აქვს ადგილი ბოროტმოქმედებებს, საბჭოთა ვაჭრობის წესების დამახინჯებას, სასურსათო და სამრეწველო საქონლის დატაცება-განიავებას, ზომა-წონაში მომხმარებელთა მოტყუების ფაქტებს. მაგალითად, საქხოცრძისგასაღების თბილისის ბაზაში ბოროტმოქმედებას სჩადიოდნენ ტ. ა. მარკოსიანი და ვ. გ. აპრესოვი, რომლებსაც აღმოაჩინდათ შესქელებული რძის, ძეხვეულისა და სხვა პროდუქტების დიდი დანაკლისი. ისინი დანაშაულში ამხილეს, მისცეს სამართალში და მოხსნეს სამუშაოდან. მარკოსიანი გარიცხულია პარტიიდან. თვით ბაზის დირექტორი ს. ი. ალაროვი, რომელიც ზომებს არ იღებდა კვების პროდუქტების დატაცებისა და დანაკლისის წინააღმდეგ, მოხსნილია სამუშაოდან და გამოეცხადა სასტიკი საყვედური საარიცხვო ბარათში შეტანით. ასევე სამუშაოდან მოხსნილია და პარტიიდან გარიცხულია აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მუშათა მომარაგების განყოფილების დირექტორი შ. ა. ფოფხაძე, ვინაიდან განყოფილებაში ადგილი ჰქონდა უპასუხისმგებლობას სამრეწველო საქონლის ორდერების განაწილებაში. ფოფხაძე სამრეწველო საქონლის ორდერებს გარეშე პირებს აძლევდა. ერთერთი ქარხნის მუშათა მომარაგების განყოფილების დირექტორს ვ. ა. შარაშენიძეს სასტიკი პარტიული სასჯელი დაედო და მოიხსნა სამუშაოდან იმისათვის, რომ განყოფილებაში ადგილი ჰქონდა პროდუქტების განიავება-დატაცებას. საარიცხვო ბარათში შეტანით საყვედური გამოეცხადა ამავე ქარხნის მუშათა მომარაგების განყოფილების დირექტორის მოადგილეს ი. ბოკერიას. აგრეთვე პარტიული სასჯელი დაედო საქპურტრესტის სატრანსპორტო-საექსპედიციო კანტორის უფროსს ი. ნ. ნასიძეს და თბილავაჭრობის პურის კანტორის დირექტორს დ. ს. კეკელიას დანაშაულებრივი მოქმედებისათვის.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელმაც ამ დღეებში განიხილა ქალაქ თბილისის ზოგიერთ სავაჭრო ორგანიზაციაში, მუშათა მომარაგების განყოფილებებსა და მომარაგება-გასაღების ბაზებში მომხდარ ბოროტმოქმედებათა და საბჭოთა ვაჭრობის წესების დამახინჯების ფაქტების საკითხი, დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი მაღაზიების, სასადილოების მუშაობის გასაუმჯობესებლად და სავაჭრო ქსელის გასაწმენდად უღირსი პირებისაგან.

ჯერ კიდევ 1943 წლის 16 თებერვლის დადგენილებაში საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა შეიმუშავეს კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც გამომდინარეობდნენ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის ცნობილი დადგენილებიდან. შემოწმებამ გვიჩვენა, რომ ამ ღონისძიებებს ზოგჯერ სათანადოდ ვერ ასრულებდნენ სავაჭრო ორგანიზაციების, მუშათა მომარაგების განყოფილებების, მომარაგება-გასაღების ბაზების ხელმძღვანელები. ზოგან მტკიცედ არ იყო მოწყობილი დაუნდობელი ბრძოლა სპეკულანტებისა და წამგლეჯების წინააღმდეგ. სასამართლოს, პროკურატურისა და მილიციის ზოგიერთ ორგანოში არც თუ იშვიათად აჭიანურებდნენ იმ საქმეების განხილვას, რომლებიც შეეხება სასურსათო და სამრეწველო საქონლის დატაცება-განიავებას. ამოცანა კი იმაში მდგომარეობს, რომ დაუნდობელი ბრძოლა გამოეცხადოს სპეკულანტებს, სამრეწველო და სასურსათო პროდუქტების დამტაცებლებს, ისინი მკაცრად უნდა დაისაჯონ.

ამ მხრივ ცოტა მუშაობა როდი მართებთ პარტიულ და პროფესიულ ორგანიზაციებს. პარტიულმა ორგანიზაციებმა ყველა ზომა უნდა მიიღონ იმისათვის, რომ სავაჭრო ქსელში ადგილი არ ექნეს ქურდ ელემენტებს, რომლებიც თაჟანთი დანაშაულებრივი მოქმედებით აფერხებენ სავაჭრო ქსელის სანმუშო მუშაობას. პროფკავშირებმა უნდა გააძლიერონ კონტროლი სავაჭრო ორგანიზაციებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაობისადმი. თითოეულ წერტს უნდა მიამაგრონ საზოგადოებრივი კონტროლიორები, ხოლო თავის მხრივ კონტროლიორებმა საჭიროა უზრუნველჰყონ არა მარტო ბოროტმოქმედთა ფაქტების გამოვლინება, არამედ მათი აღმოფხვრაც. ადგილი არ უნდა ექნეს პურის სავაჭრო მაღაზიებში და ნათლის წერტებში მითვისება-დატაცების ფაქტებს. საზოგადოებრივი კვების ტრესტის სასადილოში რატომ უნდა იყოს სადილების ხარისხი დაბალი, ერთფეროვანი მენიუ, ირღვეოდეს პროდუქტების ნორმები, არ იყოს დაცული სანიტარული წესრიგი? საზოგადოებრივმა კონტროლიორებმა ყველა ამ ფაქტის წინააღმდეგ უნდა მიიღონ ენერგიული ზომები. ამ საქმეში უნდა გამოვიყენოთ საბჭოთა და პროფესიული აქტივის ინიციატივა. უნდა მოეწყოს საწყობებში დარჩენილი საქონლის სისტემატური შემოწმება, აგრეთვე იმის შემოწმება, თუ როგორ სწარმოებს პროდუქტების შემოტანა სავაჭრო ქსელში და მისი გაშვება.

ასევე სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, თუ როგორ სწარმოებს სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების უზრუნველყოფა საქონლით და პროდუქტებით.

სავაჭრო-გამსაღებელი ორგანიზაციებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაობის კონტროლი უნდა გააძლიერონ საქართველოს ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა, ვაჭრობის სახელმწიფო ინსპექციამ, პროფესიულმა ორგანიზაციებმა, საქალაქო საბჭოს და რაისაბჭოების აღმასკომებთან არსებულმა საკონტროლო-საალრიცხვო ბიუროებმა.

გავაძლიეროთ და გავუმჯობესოთ სავაჭრო ორგანიზაციებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაობა, მოვაწყოთ ამ უბნის ნამდვილად ქმედი კონტროლი, — ასეთია ამოცანა, რომელიც წარმატებით უნდა შეასრულოთ.

საკლესი უარჰყოფს

ამ დღეებში ინგლისურ გაზეთ „სანდი ეჰსპრესში“ ვინმე ბ-ნმა ჯორჯ სლოკომბმა გამოაქვეყნა სტატია, სადაც გადმოცემული სტალინის შეხედულებანი გერმანიასთან ზავის საბჭოთა პირობების შესახებ ამ ადამიანთა ნათქვამის მიხედვით, რომლებსაც, თითქოს, „ამ ცოტა ხნის წინათ საუბარი ჰქონდათ სტალინთან“.

უდავო ცნობების საფუძველზე საკლესს შესაძლებლობა აქვს განაცხადოს, რომ ბ-ნ სლოკომბის სტატია, როგორც იმ ნაწილში, რომელიც ეხება სტალინს „საუბარს“ ვიღაც უცნობ ადამიანებთან, ისე, მაშასადამე, იმ ნაწილშიც, რომელიც ეხება გერმანიასთან ზავის საბჭოთა პირობების არსს, მთლიანად მოკერილია.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
12 მარტის ოპერაციული ცნობიდან

12 მარტის განმავლობაში პროსკუროვის მიმართულებით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევითს ბრძოლებს, რომელთა მსვლელობამდეც დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი და მათ შორის ნემირინეცი, ბროსნევკა, პეტრიკოვცი, ვალაშოვცი, მაცკოვცი, ვალინიჩი, ნიჟნიე ვოლკოვცი, ოკლინცი, ხოდკოვცი, ზარუდიე. ჩვენმა ჯარებმა გადასჭრეს პროსკუროვ-ბუსიატინის რკინიგზა.

ქალაქ შმანის დასავლეთით და სამხრეთით ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც განაგრძობდნენ შეტევის წარმატებით განვითარებას, დაიკავეს ოდესის ოლქის რაიონული ცენტრი ქალაქი ბაიმოროსნი, ვინიცის ოლქის რაიონული ცენტრები ტეპლიკი, ჯულინკა, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 60-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები კიტაი-გოროდი, გრანოვი, მიხაილოვკა, ჩეჩელნიკა, კუგლიჩი, ველიკაია ვოჩულკა, მიშაროვკა, შლიახოვა, კამენაია კრინიცა, ოლხოვატა და რაიონიზის სადგურები ივანგოროდი, როსკოშევკა, მარკოვკა, კუგლიჩი.

ქალაქ კიროვოგრადის ჩრდილო-დასავლეთით და დასავლეთით ჩვენი ჯარები ეწეოდნენ შეტევითს ბრძოლებს, რომელთა შედეგადაც დაიკავეს კიევის ოლქის რაიონული ცენტრი ვოკრაინა კალინოვკა და 30-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები პეტრაკოვკა, ლისიჩინა ბალკა, სუხაია კალიგოროკა, ანტონოვკა, იანოპოლი, დუკოვა, ოსიტნაია, ელენო-კოსოგოროვკა, პეტროპილია.

ქალაქ კრივოი როგის ჩრდილო-დასავლეთით და დასავლეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევის განვითარებას და დაიკავეს კიროვოგრადის ოლქის რაიონული ცენტრი ქალაქი შევჩენკოვო და რკინიგზის კვანძი დოლინსკაია, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 50-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები ნოვო-სავიცკოე, ნოვო-ბრიგოროვკა, ბერიოზოვკა, პეტროპელიცა, მარგოვკა, სერგეევკა, დმიტრიევკა; ნოვოსელიე, მედოვა და რკინიგზის სადგურები პისანკი, ნოვო-დანილოვკა.

აპოსტოლოვოს დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ და დაიკავეს ნიკოლაევის ოლქის რაიონული ცენტრები პრიოზოლოე (მდინარე ინგულის დასავლეთ ნაპირზე), ბოლშაია ალექსანდროვკა და 60-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის სოფიევკა, ულიანოვკა, მაიბოროვკა, ლენინო, ნოვო-პრივოლნოე, ვალაია ალექსანდროვკა, ნოვაია კუბანი, ნოვო-სიბირსკი, სვოგოდნი, დრუჟნი, ვოლოდიევკა, ლენოვო, ტიაგინკა.

ფრონტის სხვა უბნებზე ზვერვა და მთელ რიგ პუნქტებში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებია.

11 მარტის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დაახვრიტეს და მოსპეს გერმანელთა 58 ტანკი. სხვადასხვა ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 35 თვითმფრინავი.

* * *

13 მარტის ოპერაციული ცნობა

13 მარტის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც შეტევას ეწევიან ქალაქ ვოლჩინსკის სამხრეთ-დასავლეთით, დაიკავეს ტარნოპოლის ოლქის რაიონული ცენტრი ქალაქი სკალატი და დიდი დასახლებული პუნქტები ტოუსტოლუგი, კოლოძეიშევკა, სტარი სკალატი, კაჩანეშევკა, ივანოვკა, ჩერნიშოვკა.

პროსკუროვის მიმართულებით ჩვენი ჯარები სძლევდნენ მტრის ქვეითი ჯარისა და ტანკების წინააღმდეგობასა და კონტრიერიშებს და განაგრძობდნენ შეტევითს ბრძოლებს, რომელთა მსვლელობაშიც დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი.

ვინიციის მიმართულებით ჩვენი ჯარები შეტევაზე გადავიდნენ, დაიკავეს ვინიციის ოლქის რაიონული ცენტრები ლიპოვეცი, ილინცი, დაშევი და ბრძოლებით დაიკავეს 60-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები ზოზოვი, სჩასტლივცევი, ოგბოდნოე, პოპოვკა, პარიეკა, ხრინინკა, ჟადანი, კუპჩინცი, სემირეჩკა.

ქალაქ შმანის სამხრეთ-დასავლეთითა და სამხრეთით ჩვენი ჯარები წარმატებითი შეტევის განვითარებას განაგრძობდნენ.

ქალაქ კიროვოგრადის დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც შეტევას ავითარებდნენ, დაიკავეს კიროვოგრადის ოლქის რაიონული ცენტრი მალიე ვისკი, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 100-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები კალნი-ბოლოტო, ნადლაკი, კოროგბინო, პოლეევკა, როსოხოვატა, ნოვო-ზლინკა, კლეტნოი ტაშლიკი, ივანოვკა, ზახაროვკა და რკინიგზის სადგურები ვისკა, კლეტნოი ტაშლიკი.

ქალაქ კრივოი როგის დასავლეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ და დაიკავეს კიროვოგრადის ოლქის რაიონული ცენტრი უსტინოვკა, აგრეთვე დაიკავეს 50-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები კაბიშევატა, პეტროვკა, ნოვაია ეგოროვკა, ნოვო-ალექსეევკა, იზრაილევკა, ჩერვონი პრაპორი.

აპოსტოლოვოს სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც შეტევას განაგრძობდნენ, დაიკავეს ნიკოლაევის ოლქის რაიონული ცენტრი ვლადიმიროვკა და ბრძოლებით დაიკავეს 100-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები სერგეევკა, ფედოროვკა, კავკაზი, დავიდოვ ბროდი, კოსტროვკა, კრესტოვოზდვიჟენკა, გალაბანოვკა, ლიბანცი, ტიმოფეევკა, პოლიატოვკა, ნიკოლსკოე და რკინიგზის სადგური ბელაია კრინიცა.

უკრაინის მე-3 ფრონტის ჯარებმა გადალახეს მდინარე **დნეპარი** ქვემოწელში და 13 მარტს, ქუჩებში გამართული ბრძოლების შედეგად, დაიკავეს ქალაქი **ხერსონი**—სარკინიგზო და სანაოსნო კომუნიკაციების დიდი კვანძი და გერმანელთა თავდაცვის მნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტი მდინარე **დნეპრის** შესართავთან.

6-დან 12 მარტამდე ჩათვლით განვლილ პერიოდში **უკრაინის მე-3** ფრონტის ჯარებმა შემდეგი ზარალი მიაყენეს მოწინააღმდეგეს: მოსპობილია 115 ტანკი, 64 თვითმავალი ქვემეხი, 390 სხვადასხვა ყალიბის ქვემეხი, 230 ნაღმსატყორცნი, 950 ტყვიამფრქვევი, 68 ჯავშანმანქანა და ჯავშანტრანსპორტიორი, 57 ტრაქტორი, 3.830 ავტომანქანა.

მოწინააღმდეგემ ბრძოლის ველზე დატოვა ჯარისკაცთა და ოფიცერთა 20 ათასზე მეტი ჯვარი.

ამავე ხნის განმავლობაში **უკრაინის მე-3** ფრონტის ჯარებმა ხელთ იგდეს დაავლეს: 87 ტანკი, 50 თვითმავალი ქვემეხი, 338 სხვადასხვა ყალიბის სველი ქვემეხი, 142 ნაღმსატყორცნი, 1.077 ტყვიამფრქვევი, 8.200 შაშხანა და ავტომატი, 48 ჯავშანმანქანა და ჯავშანტრანსპორტიორი, 121 ტრაქტორი და საწევარი, 5.342 ავტომანქანა, 27 ორთქლმავალი, 242 ვაგონი, 63 საწყობი სამთარ მასალიანად, საჭიურვლიანად და სხვა სამხედრო ქონებიანად. ტყვედ წამოიყვანილია 2.500-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ფრონტის სხვა უბნებზე ზვერვა და მთელ რიგ პუნქტებში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებია.

12 მარტის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დაახვრიტეს და მოსპეს გერმანელთა 52 ტანკი. სპეციალურ ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 23 თვითმფრინავი.

* * *

ჩვენი ავიაციის თავდასხმა რკინიგზის კვანძ და ნავსადგურ ფალინზე

ამ დღეებში ჩვენმა ავიაციამ ძლიერ დაბომბა გერმანელთა სამხედრო ეშელონების შეჯგუფებანი ტალინის რკინიგზის კვანძზე და მოწინააღმდეგის გემები ტალინის ნავსადგურში. დაბომბვის შედეგად გაჩნდა ხანძრები, იწვოდა ეშელონები, რომლებშიც იყო ჯარები, საწვავი და სამთარი მასალა. ხანძრებს თან სდევდა აფეთქებანი. ძლიერი ხანძრები და აფეთქებანი აღინიშნა აგრეთვე ძველ ნავსადგურში საზღვაო არსენალის, ბენზინსაცავის, ქიმიური ქარხნისა და დენთის საწყობების ტერიტორიაზე. ხანძარს ჩვენი ეკიპაჟები 250 კილომეტრზე მეტი მანძილიდან ხედავდნენ.

ხუთი ჩვენი თვითმფრინავი არ დაბრუნებულა თავის ბაზებში.

* * *

ქალაქ ვოლჩინსკის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა ეწინააღმდეგის ტანკებისა და ქვეითი ჯარის დიდ ძალებთან გაფფრენილი ბრძოლების შედეგად დაიკავეს ტაონიპოლის ოლქის რაიონული ცენტრი — ქალაქი და რკინიგზის სადგური სკალატი, აგრეთვე მთელი რიგი სხვა დასახლებული პუნქტები. გერმანელებს წავართვეთ 1.000-მდე ავტომანქანა და დიდი საწყობები სურსათიანად, საომარ მასალიანად და სამხედრო ქონებიანად. მოსპობილია 1.200-მდე ჰიტლერელი, მოწინააღმდეგის 29 ტანკი და 9 თვითმავალი ქვემეხი.

* * *

ვინიცის მიმართულებით ჩვენი ჯარები შეტევაზე გადავიდნენ. საბჭოთა ქვეითმა ჯარმა და ტანკებმა, არტილერიის დახმარებით, გაარღვიეს მტრის თავდაცვა, წარმატებით წაიწიეს წინ და დაიკავეს ვინიცის ოლქის რაიონული ცენტრები ლიპოვეცი, ილინცი და დაშევი. ჩვენი ჯარების დარტყმების შედეგად უკანდახევისას მოწინააღმდეგეს უდიდესი ზარალი მოსდის. საბჭოთა ნაწილებმა გაანადგურეს გერმანელთა მე-18 საარტილერიო დივიზია, ხელთ იგდეს მექანიკური წევით მომუშავე ბევრი მძიმე ქვემეხი და სხვა დაავლეს.

* * *

ქალაქ კრივოი როგის დასავლეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას. ნ შენაერთის ნაწილებმა, რომლებმაც გუშინ დაიკავეს ქალაქი შევჩენკოვო და რკინიგზის კვანძი დოლინსკაია, მოწინააღმდეგეს წაართვეს 6 ტანკი, 17 თვითმავალი ქვემეხი, 33 სველი ქვემეხი, 347 ავტომანქანა, 27 ორთქლმავალი, 8 სარკინიგზო ეშელონი საომარ მასალიანად და, გარდა ამისა, 145 ვაგონი სხვადასხვა ტვირთიანად, 200 კასრი საწვავი, 13 საწყობი სურსათიანად და სხვადასხვა სამხედრო ქონებიანად. ჩვენმა ჯარებმა ბრძოლებით წაიწიეს წინ და დაიკავეს კიროვოგრადის ოლქის რაიონული ცენტრი უსტინოვკა და მთელი რიგი სხვა დასახლებული პუნქტები. მოსპობილია 1.600-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. წამოიყვანეთ ტყვეების მნიშვნელოვანი რაოდენობა და ხელთ ვიგდეთ ავიაბომბების ორი დიდი საწყობი.

* * *

ქალაქ აპოსტოლოვოს სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ. 6 შენაერთის მებრძოლნი დაედევნენ უკუქცეულ მოწინააღმდეგეს და დაიკავეს ნიკოლაევის ოლქის რაიონული ცენტრი ვლადიმიროვკა. ამ პუნქტისათვის ბრძოლაში მოსპობილია ერთი ბატალიონზე მეტი ჰიტლერელი. გერმანელებს წავართვეთ ორი ტანკი, 16 ქვემეხი, საომარი მასალის ორი საწყობი და სურსათის დიდი საწყობი. სხვა უბანზე მოწინააღმდეგემ მთელი რიგი გაიფურთხებული კონტრიერიშები მოიტანა. გერმანელებს თავიანთი ჯარისკაცები და ოფიცრები მთვრალები გამოჰყავდათ კონტრიერიშებზე. თოფ-ტყვიამფრქვევის ცეცხლით მოწინააღმდეგის ყველა კონტრიერიში მოგერიებულია მისთვის დიდი ზარალის მიყენებით. ჩვენი პოზიციების წინ მტრის 500-მდე გვამი დარჩა.

* * *

უკრაინის მე-3 ფრონტის ჯარებმა წარმატებით გადალახეს მდინარე დნეპარი და მძიმე დარტყმით დაიკავეს მთელი რიგი დასახლებული პუნქტები. გერმანელი ჯარისკაცები და ოფიცრები ამ დასაყრდენი პუნქტებიდან თავზარდაცემულნი გაიქცნენ ხერსონისაკენ. საბჭოთა მებრძოლნი დაეცხრომლად მისდევდნენ გერმანელებს, უკანდახევული მოწინააღმდეგის კვალდაკვალ შეიჭრნენ ქალაქში და გააჩაღეს ბრძოლები ქუჩებში. დღეს ჩვენმა ჯარებმა მთლიანად დაიკავეს ქალაქი ხერსონი. ხელთ ვიგდეთ მოწინააღმდეგის მრავალი საჭურველი და დიდი საწყობები.

* * *

კამენეც-პოდოლსკის ოლქში მოქმედი პარტიზანული რაზმი 16-დან 27 თებერვლამდე განუწყვეტლივ ეწეოდა ბრძოლებს მოწინააღმდეგისთან. ამ ბრძოლებში საბჭოთა პატრიოტებმა მოსპეს ორი ასეული ჰიტლერელი. კამენეც-პოდოლსკის სხვა რაზმი 26 თებერვალს ღამით უეცრად დაესხა თავს გერმანელთა გარნიზონს, რომელიც ერთ რაიონულ ცენტრში იდგა. ჰიტლერელები თავზარდაცემულნი გაიქცნენ. სოფლის ქუჩებში დარჩა მტრის 50-ზე მეტი გვამი. პარტიზანებმა ხელთ იგდეს დავლა და ტყვეები.

საგაზაფხულო ხვნის მიმდინარეობა კოლმეურნეობებში
საქმიწსახკომის 1944 წლის 10 მარტის ცნობებიით

რაიონები	გეგმის შესრულება პროცენტობით	რაიონები	გეგმის შესრულება პროცენტობით
აფხაზეთის ასსრ	26,5	გორი	13,4
აბაშა	56,6	კასპი	26,7
ცხაკაია	24,8	წალკა	11,2
გეგეჭკორი	43,2	დუშეთი	20,4
ზუგდიდი	25,9	თეთრი წყარო	50,1
ხობი	37,0	გურჯაანი	34,5
ჩხოროწყუ	24,0	სიღნაღი	43,5
მახარაძე	39,2	წითელწყარო	70,4
ლანჩხუთი	8,3	თელავი	25,7
ჩოხატაური	6,9	ყვარელი	38,3
ფოთი	38,1	ლაგოდეხი	40,9
ქუთაისი	55,9	თბილისი	53,7
წყალტუბო	86,5	მცხეთა	31,3
სამტრედია	49,7	ყარაია	82,8
წულუკიძე	31,6	ბორჩალო	81,5
ვანი	24,1	ბოლნისი	29,6
ხაშური	28,5	საგარეჯო	24,1
ქარელი	15,4	ბაშკიჩეთი	4,2

საქართველოს დანარჩენი რაიონები ხვნას არ შესდგომიან.

ვთესოთ სწრაფად და მაღალხარისხოვნად

კლუხორის რაიონი იბრძვის უხვი მოსავლისათვის
(კლუხორი, „კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტისაგან)

კლუხორის რაიონში წარმატებით დამთავრდა საგაზაფხულო თესვისათვის მზადება და უკვე რამდენიმე დღეა გაჩაღებულია ხვნა. რაიონის მთელი სახნავი ფართობი უზრუნველყოფილია კონდიციური თესლით.

2 მარტისათვის რაიონში სავსებით დამთავრდა სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის რემონტი. ზემო ტებერდის კოლმეურნეობა „ბელაში“ 10 მარტისათვის საგაზაფხულო ხვნის გეგმა შესრულებულია 10 პროცენტით.

წელს ხვნა პირველად დაიწყო მარტში, წინა წლებში ხვნას შუა აპრილიდან იწყებდნენ. წელს პირველად და მასობრივად თესავენ გაუფლორებულ ნორმალურ ნორმებს და აწყობენ ახალი ბოსტნეული კულტურების კვალსათბურებს.

რაიონის ხელმძღვანელი ორგანიზაციები (სკ. კ. პ. (ბ) კლუხორის რაიკომის მდივანი ამხ. აკ. იმნაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ორგკომიტეტის თავმჯდომარე კლუხორის რაიონში ამხ. პ. ქემოკლიძე, რაამიწგანის გამგე ამხ. მ. კვარაცხელია) დიდ დახმარებას უწევენ კოლმეურნეობებს მუშახელის ახალი რეზერვების მიცემაში, თესვის წარმატებით დამთავრების უზრუნველყოფაში.

დ. ლომთათაძე

გაჩაღდა საგაზაფხულო სამუშაოები

ჟოგულეთი („კომუნისტის“ სკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეები, დიდი ტალინის 1944 წლის 23 თებერვლის ისტორიული ბრძანებით და გმირი წითელი არმიის ახალი გამარჯვებებით აღფრთოვანებულნი, ფართოდ ამაღლებენ სოციალისტურ შეჯიბრებას ჩაის, ციტრუსების, ტუნგოს და ერთწლიანი კულტურების უხვი მოსავლის მისაღებად.

ჩაის პლანტაციების გადაბარვის გეგმა სასუქის შეტანით შესრულებულია 90 პროცენტით. გასწლულია ბუჩქები 1.034 ჰექტარი—გეგმის 29 პროცენტი, ჩატარებულია დრენაჟების რემონტი 276.100 გრძივ მეტრზე—გეგმის 65,9 პროცენტი, 625.080 ძირი ციტრუსი ირგვლივ შებარულია.

ჩაისა და ციტრუსების სამუშაოები ვადაზე ადრე შეასრულეს სოფ. ხუცუბნის სტალინის, სოფ. ჩაისუბნის ლენინის, ანდრეევის, კომკავშირისა და ედანოვის სახელობის კოლმეურნეობებში.

ხვნის გეგმებს კარგად ასრულებენ სოფ. ხუცუბნის სტალინის, სოფ. სამების ლენინის, სოფ. ქობულეთის ბერიას, ენგელსის, კიროვის, გაზეთ „კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობები.

ქობულეთის მტს-მა ვადაზე დაამთავრა ტრაქტორების და მისაბმელი იარაღების რემონტი. ტრაქტორისტთა შორის გაჩაღებულია სოციალისტური შეჯიბრება ტრაქტორები შეუფერხებლივ მუშაობენ მინდვრად.

მტს-მა იოსრა გეგმის გადამეტებით კოლმეურნეობებში მოხნას 100 ჰექტარი. ხვნის საქმეში ყველაზე წინ არის ტრაქტორისტი ზაკარი პოზონოვი, რომელმაც 7 სამუშაო დღეში ნაცვლად 27,1 ჰექტარისა მოხნა 43 ჰექტარი და გასწია 260 კილოგრამი საწვავი ბასალის ეკონომია. მან 10 თებერვალს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2,9 ჰექტარისა მოხნა 8 ჰექტარი. დავალებებს გადაჭარბებით ასრულებენ ავრეთვე ტრაქტორისტები სერგო მაზმანოვი და იოსებ ნერასოვი.

ალ. ახალაძე

გავაძლიეროთ თესვისათვის მზადების ფემკეები

ჩოხატაური („კომუნისტის“ სკ. კორ.). რაიონის მოწინავე კოლმეურნეობები გაცხოველებით ემზადებიან საგაზაფხულო თესვის წარმატებით ჩატარებისათვის. სოფ. ძირგანაღლების ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე მედალისანი ნ. დოლიძე) კარგად არის მოვლილი მუშა საქონელი, შეკეთებულია ინვენტარი და სხვ. კოლმეურნეობამ რემონტის წარმატებით ჩატარებისათვის დროულად მოაწყო სამჭედლო და უზრუნველჰყო იგი საჭირო მასალებით. გამოყოფილი და შემოწმებულია თესლიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანელი ფაშისტი დამპყრობლებისა და მათი თანამონაწილეების ბოროტმოქმედებათა და მათ მიერ სსრ კავშირის მოქალაქეებისათვის, კოლმეურნეობებისათვის, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის მიყენებული ზარალის დამდგენი და გამომკვლევი საგანგებო სახელმწიფო კომისიის

ცნობა

ჰიტლერული მთავრობისა და გერმანიის სამხედრო სარდლობის დირექტივები და ბრძანებები საბჭოთა სამხედრო ტყვეებისა და მშვიდობიანი მოქალაქეების გაჟლეტის შესახებ

1. ჰიტლერელთა საიდუმლო დირექტივები საბჭოთა ადამიანების გაჟლეტის შესახებ

დანაშაულებრივმა ჰიტლერულმა მთავრობამ და გერმანიის არმიის უმაღლესმა სარდლობამ ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირზე ვერაგულ თავდასხმამდე გულდასმით შეიმუშავეს საბჭოთა ხალხის მოწინავე ნაწილის საშინელი გაჟლეტისა და მილიონობით საბჭოთა ადამიანების გერმანიის კატორღაში ტარეკვის გეგმები.

საგანგებო სახელმწიფო კომისიის მიერ თავის დროზე გამოქვეყნებულმა ცნობებმა გერმანელი ფაშისტების მიერ ქალაქებში—კრასნოდარში, სტავროპოლში, ორიოლში, სტალინოში, სმოლენსკსა და კიევში ჩადენილ ბოროტმოქმედებათა შესახებ, აგრეთვე სპეციალურმა კვლევა-ძიებამ, რაც ჩაატარეს საგანგებო სახელმწიფო კომისიის წევრებმა ადგილებზე გასვლის გზით, ცხადჰყვეს, რომ არსებობს გერმანელი ოკუპანტების მიერ ამზადებული და მშვიდობიანი საბჭოთა მოქალაქეების წინასწარგანზრახული მასობრივი გაჟლეტის მოფიქრებული სისტემა.

მარტო წინასწარი ცნობებით, რაც რეგისტრირებულია საგანგებო სახელმწიფო კომისიის მიერ, გერმანელმა ფაშისტმა ოკუპანტებმა მოჰკლეს, „დუშეგუბკებში“ მოწამლეს და წამებით დახოცეს მათ მიერ ოკუპირებულ საბჭოთა რაიონებში ორ მილიონამდე კაცი—ბოსტუები, ჭალები და ბავშვები, მშვიდობიანი საბჭოთა მოქალაქეები, აგრეთვე ბევრი სამხედრო ტყვე—წითელი არმიის მებრძოლები და ოფიცრები.

ახლა საგანგებო სახელმწიფო კომისიის განკარგულებაში შემოვიდა გერმანელთა დოკუმენტები, რომლებიც ხელთ იგდეს საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებმა ქალ. კიევში და რომლებიც აღმოჩენილ იქნა უწვკარადაში, იმ შენობაში, სადაც გერმანელთა ოკუპაციის პერიოდში გესტაპო იმყოფებოდა. ეს დოკუმენტები შეიცავენ გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის, ოკუპირებული აღმოსავლეთი ოლქების საოკუპაციო მინისტრის, უშიშროების პოლიციისა და სდ

2. მზადება საბჭოთა სამხედრო ტყვეებისა და მშვიდობიანი მოქალაქეების მასობრივი ჟლეგისათვის

აღმოჩენილი დოკუმენტებიდან სჩანს, რომ ჰიტლერელი ჯალათები ჯერ კიდევ მანამდე, სანამ თავს დაესხმოდნენ სსრ კავშირს, ადგენდნენ სიებს სამძებრო წიგნებს და ჭკრეფდნენ საჭირო ცნობებს ხელმძღვანელი საბჭოთა მუშაკების შესახებ, რომლებიც, მათი სიტლანით გეგმების მიხედვით, მოსპობილი უნდა ყოფილიყვნენ. ასე იქნა დამზადებული „სსრ კავშირის განსაკუთრებული სამძებრო წიგნი“, „გერმანიის სამძებრო წიგნი“, „ადგილსამყოფელის გამოსაკითხავი ფურცელი“ და სხვა ამგვარი „სამძებრო წიგნები და სიები“, რომლებსაც ჰიტლერელი მკვლელებისათვის უნდა გაეადვილებინათ სსრ კავშირის მოსახლეობის მოწინავე ნაწილის გაჟლეტა.

მაგრამ დოკუმენტში, რასაც ეწოდება: „უშიშროების პოლიციის და სდ უფროსის № 8 ოპერატიული ბრძანების № 2 დანართი“ და რაც დათარიღებულია — „ბერლინი, 1941 წლის 17 ივლისი“ და ხელმოწერილია ჰაიდრიხის მიერ, რომელიც მაშინ ჰიმლერის მოადგილის მოვალეობას ასრულებდა, აღნიშნულია სიებისა და სამძებრო წიგნების უკმარისობა და იმის აუცილებლობა, რომ მკვლელობის ჩამდენთა ინიციატივა არ იქნას შეზღუდული.

დოკუმენტში ნათქვამია:

„თქვენი ამოცანების განსახორციელებლად შესაძლებლობა არა გვაქვს დამზმარე მასალები გადავცეთ რაზმების განკარგულებაში. „გერმანიის სამძებრო წიგნი“, „ადგილ-საუყოფელის გამოსავლინებელი სიები“, „სსრ კავშირის განსაკუთრებული სამძებრო წიგნი“ მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში აღმოჩნდება სასარგებლო. ამიტომ „სსრ კავშირის განსაკუთრებული სამძებრო წიგნი“ საკმარისი არ არის, რადგან მასში შეტანილია იმ საბჭოთა რუსების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი, რომლებიც საშიშრებად უნდა ჩაითვალონ“.

სსრ კავშირში ყაჩაღურ შემოჭრასა და მთელი რიგი საბჭოთა რაიონების ოკუპაციასთანავე ჰიტლერელები შეუდგნენ საბჭოთა მოსახლეობის, განსაკუთრებით მისი მოწინავე და ყველაზე უფრო აქტიური ფენების სისტემატურად ჟლეტას, დამოუკიდებლად იმ სიებისა, რომლებიც ჰიტლერელებს ჰქონდათ ხელთ.

თავიანთი დანაშაულებრივი გეგმების შესასრულებლად გერმანელმა ოკუპანტებმა შეჰქმნეს „ზონდერკომანდები“ (განსაკუთრებული რაზმები) სამხედრო ტყვეების სტაციონარულ და გადასაგზავნ ბანაკებში, რაც იმ დროს მოწყობილ იქნა გერმანიის ტერიტორიაზე, პოლონეთის აღრეთწოდებულ „საგენერალ-გუბერნატოროში“ და ოკუპირებულ საბჭოთა ტერიტორიაზე.

უშიშროების პოლიციისა და სდ უფროსის № 8 ოპერატიულ ბრძანებაში, რაც დათარიღებულია—„ბერლინი, 1941 წლის 17 ივლისი, ბ № 21 ბ 41 წ. რს IV ა ც“ და რაც ხელმოწერილია ჰაიდრიხის მიერ, ნათქვამია:

„წინადადებას გაძლევთ დაუყოვნებლივ გამოჰყოთ სამხედრო ტყვეთა ბანაკების იმ ტერიტორიაზე რაზმი ერთი სს ფიურერისა და 4-6 რიგითი ჯარისკაცის შემადგენლობით. იმ შემთხვევაში, თუ დასმული ამოცანების შესასრულებლად საჭირო გახდება დამატებითი ძალები, ეს დაუყოვნებლივ უნდა შეცნობოთ...

... წმენდის ჩატარების გასაადვილებლად 1-ლ სამხედრო ოლქში, აღმოსავლეთ პრუსიაში, სამხედრო ტყვეთა ბანაკების უფროსის—გენერალ-მაიორ ფონ ჰინდენბურგის და საგენერალ-გუბერნატოროში, კელცში, სამხედრო ტყვეთა ბანაკების უფროსის—გენერალ-ლეიტენანტ ჰერგოტის განკარგულებაში გამოყოფილ უნდა იქნან კავშირგაბმის თითო ხელმძღვანელები.

კავშირგაბმულობის ხელმძღვანელებად დაუყოვნებლივ უნდა იქნან მივლინებულნი:

ა) კრიმინალრატი შიფერი, შტეტინის სახელმწიფო პოლიციის განყოფილება, — გენერალ-მაიორ ფონ ჰინდენბურგის განკარგულებაში, „კენიგსბერგში (პრუსია);

ბ) კრაკოვში უშიშროების პოლიციისა და სდ უფროსთან მყოფი კრიმინალკომისარი რაშვიტცი — გენერალ-ლეიტენანტ ჰერგოტის განკარგულებაში, კელცში.

... კავშირგაბმულობის ამ ხელმძღვანელთა ამოცანებში შედის, განსაკუთრებით ოპერაციების დაწყების მომენტისათვის, წარმართონ ამ დირექტივების შესაბამისად რაზმების საქმიანობა, აგრეთვე უზრუნველყონ ნორმალური ურთიერთობა სამხედრო ორგანოებთან“.

უშიშროების პოლიციის და სდ უფროსის № 14 ოპერატიული ბრძანების № 1 დანართში (საიდუმლოდ, სახელმწიფო მნიშვნელობისა, ეგზემპლარი მე-15), რაც დათარიღებულია—„ბერლინი, 1941 წლის 29 ოქტომბერი“, აღნიშნულია „ზონდერკომანდების“ შედგენის წესი:

„ზონდერკომანდების“, უშიშროების პოლიციისა და სდ შედგენა ხდება უშიშროების პოლიციის და სდ უფროსსა და შეიარაღებულ ძალთა უმაღლეს სარდლობას შორის 1941 წლის 7.X შეთანხმებით.

რაზმები მუშაობენ განსაკუთრებულ რწმუნებულობათა საფუძველზე და, მათთვის მიცემული საერთო დირექტივების თანახმად, საბანაკო განრიგის ფარგლებში, დამოუკიდებლად. თავისთავად იგულისხმება, რომ რაზმებს მჭიდრო კონტაქტი აქვთ ბანაკების კომენდანტებთან და კონტრდაზვერვის ოფიცრებთან“.

ეს იყო 1941 წლის 17 ივლისის ჯერ კიდევ უფრო ადრე ცნობილი დირექტივის ხელმეორე განმარტება.

თავის მხრივ გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობაც 1941 წლის 7 ოქტომბრის ბრძანების № 2 დანართში აღნიშნავდა:

„... საარმიო ზურგის გადასაგზავნ ბანაკებში უშიშროების პოლიციისა და სდ ზონდერკომანდები არაკეთილსაიმედო ელემენტების გამოსავლინებლად შეჭრილნი, მოქმედებენ საკუთარი პასუხისმგებლობით თანდართულ დირექტივების შესაბამისად.

2. უშიშროების პოლიციისა და სდ უფროსთან შეთანხმებით, გათვალისწინებული ზონდერკომანდების საქმიანობის რეგულირება ხდება შემდეგნაირად: ა) ამ ამოცანების შესასრულებლად გათვალისწინებული ზონდერკომანდები ემოუჩილებიან ჯარის ზურგის სარდლებთან არსებული უშიშროების პოლიციისა და სდ უფროსის რწმუნებულს, თანახმად „ა“ მიმართვასთან ერთად გადაგზავნილი 1941 წლის 28.IV შეთანხმებისა... ე) არმიის ზურგის იმ ბანაკებში, რომლებშიც შესაძლებლობა არ არის მოხდეს ფილტრაცია ზონდერკომანდების დანმარებით, კომენდანტის პირადი პასუხისმგებლობით ძალაში რჩება დღემდე არსებული დებულება. ზონდერკომანდების გამოჩენის შემდეგ არაკეთილსაიმედო ელემენტთა გამოვლინება მხოლოდ და მხოლოდ მათს ამოცანას შეადგენს“.

უშიშროების პოლიციისა და სდ უფროსის 1941 წლის 29 ოქტომბრის ბრძანება ზონდერკომანდების შექმნის შესახებ დაეგზავნათ ოპერატიულ ჯგუფებს კრასნოგვარდეისკში, სმოლენსკში, კიევში, ნიკოლაევში და „სანინფორმაციოდ“ რიგაში, მოგილიოვში და კრიკოვი როგში.

საჭიროა აგრეთვე აღინიშნოს, რომ ჰიტლერელებმა მოსკოვზე თავიანთი შეტევის დროს სმოლენსკში შეჰქმნეს სპეციალური „ზონდერკომანდა მოსკოვი“, რომლის ამოცანა უნდა ყოფილიყო მოსკოველთა მასობრივი მკვლელობა.

„ზონდერკომანდებზე“ დაკისრებულ ამოცანათა შესახებ ლაპარაკობენ ოპერატიული დირექტივები, რაც დართული აქვს „უშიშროების პოლიციისა და სდ უფროსის № 8 ბრძანებას, დათარიღებულს — „ბერლინი, 1941 წლის 17 ივლისი, რომელიც „აღმოსავლეთის ლაშქრობაში ხელთ ჩაგდებულ სამოქალაქო პირთა და საეკვო სამხედრო ტყვეთა ფილტრაციის“ სახით აღნიშნავს, რომ:

„აღმოსავლეთის ლაშქრობის განსაკუთრებული ვითარება მოითხოვს განსაკუთრებულ ღონისძიებებს, რომლებიც უნდა ტარდებოდეს საკუთარი პასუხისმგებლობით, ყოველგვარი ბიუროკრატიული და ადმინისტრატიულ გავლენის გარეშე“.

როგორც დოკუმენტალურად არის გამორკვეული, „ზონდერკომანდებს“ მოვალეობად ეკისრებოდათ „ფილტრაცია“, ე. ი. გამოვლინება „არაკეთილსაიმედოებისა“, რომლებიც შემდეგში მოსპობილ უნდა ყოფილიყვნენ.

ამასთან დაკავშირებით, ჰაიდრიხის 1941 წლის 17. VII № 8 ოპერატიული ბრძანების დანართში აღნიშნულია, რომ:

„რუსებისათვის განკუთვნილი ბანაკების პატიმარნი ამიტომ გაყოფილ უნდა იქნან ბანაკის შიგნით შემდეგი ნიშნების მიხედვით:

1) სამოქალაქო პირები.

2) ჯარისკაცები (მათ შორის ისეთებიც, რომლებიც აშკარად გადაცმული არიან სამოქალაქო ტანსაცმელში).

3) პოლიტიკურად მავნე ელემენტები 1-დან 2 კატეგორიების პირთა რიცხვიდან...

4) 1 და 2 კატეგორიების პირნი, რომლებიც ნდობის ღირსნი არიან და ამიტომ გამოსადეგნი არიან გამოსაყენებლად ოკუპირებული რაიონების აღდგენის დროს.

5) ნაციონალური ჯგუფები სამხედრო ტყვეთა და სამოქალაქო პირთა შორის“.

3. საბჭოთა მოღალატეებისა და საბჭოთა ინგელიგენციის გაჟლეტის გეგმები

გერმანელ ფაშისტ ოკუპანტთა მიერ სსრ კავშირის დროებით დაპყრობილი რაიონების სამოქალაქო მოსახლეობას, როგორც ეს არაერთხელ იყო გამოქვეყნებული, ათასებსნენ ბანაკებში სამხედრო ტყვეებთან ერთად, წარსულიდან ომის წარმოების ყველა არსებული კანონისა და ადათისა. ჰიტლერელი ჯალათების მიერ სამხედრო ტყვეთათვის შექმნილი არაადამიანური რეჟიმი გავრცელებული იყო მშვიდობიან საბჭოთა მოქალაქეებზეც. ამ მხრივ საჭიროა აღინიშნოს ეგრეთწოდებული „ეგზეკუციები“.

ჰიტლერელებმა თავიდანვე დაადგინეს ფართო წრე „საეჭვოებისა“, რომელთა მიმართ „ეგზეკუცია“ უნდა გამოეყენებინათ. ამ წრეს ჰიტლერელები უწინარეს ყოვლისა აკუთვნებდნენ საბჭოთა მუშაკების ხელმძღვანელ და აქტიურ ჯგუფს. უშიშროების პოლიციის უფროსის 1941 წლის 29 ოქტომბრის № 14 ოპერატიული ბრძანების № 1 დანართში, ბრძანებისა, რომელიც ხელმოწერილია ჰაიდრიხის მიერ, ამის შესახებ ნათქვამია:

„უწინარეს ყოვლისა გამოვლინებულ უნდა იქნან:

1) ყველა გამოჩენილი სახელმწიფო და პარტიული თანამდებობის პირნი, განსაკუთრებით პროფესიული რევოლუციონერები,

2) კომინტერნის მოღვაწეები,

3) ყველა გავლენიანი მოღვაწე გერმანიის კომუნისტური ორგანიზაციისა სსრ კავშირში და მისი მომხრე ორგანიზაციებისა ცენტრალურ კომიტეტში, საოლქო და რაიონულ ორგანიზაციებში,

4) ყველა სახალხო კომისარი და მათი მოადგილეები,

5) წითელი არმიის ყველა ყოფილი პოლიტკომისარი,

6) ცენტრალური და საშუალო რგოლების სახელმწიფო დაწესებულებათა ხელმძღვანელი პირნი,

7) სამეურნეო ცხოვრების ხელმძღვანელი პირნი,

8) საბჭოთა-რუსი ინტელიგენტები და ებრაელები, რამდენადაც ეს ეხება პროფესიულ რევოლუციონერებს ან პოლიტიკურ მოღვაწეებს, მწერლებს, რედაქტორებს, კომინტერნის მუშაკებს და სხვ.“.

„უშიშროების პოლიციისა და სდ კომანდებისათვის მიცემული დირექტივების დამატებაში“, რომელიც ხელმოწერილია ჰაიდრიხის მიერ და დათარიღებულია: „ბერლინი, 1941 წლის 17 ივლისი“, ჰიტლერი აღნიშნულია აუცილებლობა ანალოგიური ზომების გამოკენებისა არა მარტო რუსი ხალხისადმი, არამედ აგრეთვე უკრაინელების, ბელორუსების, აზერბაიჯანელების, სომხების, ქართველების, თურქი ხალხებისა და სხვათაგან.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ხოცვა-ჟლეტას ჰიტლერელები მიმართავდნენ იმ უკრაინელი ნაციონალისტების მიმართაც, რომლებიც ჰიტლერმა თავდაპირველად გამოიყენა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლისათვის, შემდეგ კი უსაზღვრესად და ვერაგულად გაუსწორდა მათ ვითომც და იმ საბაბით, რომ ბანდერელები „აჯანყებას ამზადებდნენ“. უშიშროების პოლიციისა და სდ ც/5 ოპერატიული კომანდის 1941 წლის 25 ნოემბრის № 12/41 დირექტივაში, რომელსაც აქვს წარწერა: „საიდუმლოდ. სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისა“, მაგალითად, ოკრაინელი ნაციონალისტების შესახებ, რომლებსაც სათაურში ბანდერა ედგა, ნათქვამია:

„ბანდერაული მოძრაობის ყველა აქტივისტი დაუყოვნებლივ დაპატიმრებულ უნდა იქნას და გულდასმით დაკითხვის შემდეგ უხმაუროდ მოსპობილ იქნას მძარცველთა სახით...

ეს დოკუმენტი, მასთან გაცნობის შემდეგ, დაუყოვნებლივ უნდა მოსპოს კომანდის უფროსმა“. (ხაზგასმულია დედანში).

მმართველი ჰიტლერული ხროვა სისტემატურად ამოწმებდა „საეჭვოთა“ გამოვლინების შესახებ გაცემული თავისი დირექტივების შესრულებას, მოითხოვდა მათს ზუსტსა და სრულ აღრიცხვას. უშიშროების პოლიციისა და სდ უფროსის № 8 ოპერატიული ბრძანების № 2 დანართში შემდეგი სასტიკი განკარგულებაა:

„ყოველ კვირას ოპერატიული კომანდის უფროსი საიმპერიო უშიშროების მთავარ სამმართველოში წარადგენს მოკლე მოხსენებას ტელეგრაფით ან სასწრაფო წერილით.

ამ მოხსენებაში მოყვანილი უნდა იყოს: 1) მოკლე აღწერა განვლილი კვირის საქმიანობისა; 2) იმ პირთა რიცხვი, რომლებიც საბოლოოდ უნდა ჩაითვალონ საეჭვოებად (საკმარისია აღინიშნოს ციფრი)...“

დოკუმენტებიდან სჩანს, რომ ეს „ეგზეკუციები“ სხვა არა იყო რა, თუ არ გაჟლეტა საბჭოთა ადამიანებისა, რომლებსაც მასობრივად სჯიდნენ სიკვდილით გერმანელი ფაშისტი ჯალათები.

4. გერმანელ ფაშისტ მკვლელთა ცდები დაეფარათ თავიანთი დანაშაულებანი

გერმანელი ხელისუფალნი ულმობლად და არაადამიანურად ებუსრორდებოდნენ გერმანელ ფაშისტ მხეცთა ხელში ჩავარდნილ საბჭოთა ადამიანებს და გულმოდგინედ ცდილობდნენ დაეფარათ თავიანთი დანაშაულებანი, ცდილობდნენ საიდუმლოების ბურუსში გაეხვიათ ეს ბოროტმოქმედებანი. ამას მოწმობს აგრეთვე გერმანელთა სამხედრო სარდლობისა და გერმანელთა პოლიციის მრავალი ბრძანება.

უშიშროების პოლიციისა და სდ უფროსის 1941 წლის 17 ივლისის № 8 ოპერატიულ ბრძანებაში ამის თაობაზე აღნიშნულია:

„ეგზეკუცია თვით ბანაკში ან მის უშუალო სიახლოვეს არ უნდა მოეწყოს, იგი გასახმაურებელი არ არის და, შეძლებისდაგვარად, შეუმჩნევლად უნდა სწარმოებდეს“.

შემდეგ ამ ბრძანების № 2 დანართში ნათქვამია:

„ეგზეკუცია არ უნდა მოეწყოს ბანაკში ან ბანაკის უშუალო სიახლოვეს. თუ აგენერალგუბერნატოროს ბანაკები საზღვრის უშუალო სიახლოვეს არის, ტყვეები სპეციალური დამუშავებისათვის, შეძლებისდაგვარად, უნდა გადაიყვანოთ ყოფილ საბჭოთა რაიონებში. თუ ეგზეკუცია საჭირო გახდება ბანაკის დისციპლინის დარღვევის გამო, ამ შემთხვევაში ოპერატიულ კომანდის უფროსმა ბანაკის კომენდანტს უნდა მიმართოს“.

გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის ბანაკის 1941 წლის 7. X-ით დათარიღებული № 11 ბრძანების № 2 დანართში ნათქვამია:

ბ) ზონდერკომანდების საქმიანობა არმიის ზურგის სარდლთა (სამხედრო ტყვეთა საქმეების რაიონულ კომენდანტთა) სანქციით ისე უნდა მიმდინარეობდეს, რომ ფილტრაცია, შეძლებისდაგვარად, შეუჩნევლად ხოხდეს, ხოლო ლიკვიდაცია დაუყოვნებლივ და ისეთ მანძილზე თვით გადასაგზავნ ბანაკებთან და დასახლებულ პუნქტებთან, რომ ეს ვერ შეიტყონ დანარჩენმა სამხედრო ტყვეებმა და მოსახლეობამ“.

უშიშროების პოლიციისა და სდ უფროსის იმ ბრძანების № 1 დანართში, რომელიც დათარიღებულია — „ბერლინი, 1941 წლის 29 ოქტომბერი, № 21 ბ/41 წ. რს — IV ა 1 ც. საიდუმლოდ, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისა“, რეკომენდებულია „ეგზეკუციის“ მოწყობის შემდეგი „წესი“:

„ოპერატიული ჯგუფების უფროსები თავიანთი პასუხისმგებლობით სწყვეტენ ეგზეკუციის საკითხებს და სათანადო მითითებებს აძლევენ ზონდერკომანდებს.

ამ დირექტივებით დაწესებულ ღონისძიებათა გასატარებლად კომანდებმა უნდა მოსთხოვონ ბანაკთა ხელმძღვანელობას, რომ ტყვეები მისცენ მათ. არმიის უმაღლესი სარდლობის მიერ კომენდატურებს მიცემული აქვთ მითითება — დაკამაყოფილონ ასეთი მოთხოვნები.

ეგზეკუცია შეუმჩნევლად უნდა მოეწყოს, მოხერხებულ ადგილებში და, ყოველ შემთხვევაში, არა თვით ბანაკში ან მის უშუალო სიახლოვეს. საჭიროა თვალყური ვადევნოთ იმას, რომ გვამები დაუყოვნებლივ და სწორად იმარხებოდეს“.

უშიშროების პოლიციისა და სდ იმ კომანდებისათვის გაცემული დირექტივების დამატებაში, რომელნიც სამხედრო ტყვეების ბანაკებში იგზავნებიან, დამატებაში, რომელსაც ხელს აწერს ჰაიდრიხი, ერთხელ კიდევ აღნიშნულია:

„დასასრულ, კვლავ მიგითითებთ, რომ ეგზეკუციები არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოეწყოს არც თვითონ ბანაკში, არც მის უშუალო სიახლოვეს“.

„ეგზეკუციებმა“ დროთა განმავლობაში იმდენად ფართო მასშტაბი მიიღო, რომ ჰიტლერელებმა, როგორც ეს ცნობილია საგანგებო კომისიის წინა ცნობების მიხედვით, იწყეს მათი მოწყობა თვით ბანაკებში ან ბანაკების სიახლოვეს.

შემდგომ, როცა წითელმა არმიამ იწყო გერმანელ ფაშისტ ურდოთაგან საბჭოთა კავშირის მათ მიერ დროებით დაკავებული ტერიტორიის გაწმენდა და როცა საბჭოთა ხელისუფლებამ იწყეს ფაშისტი მტაცებლების საზარელ დანაშაულებათა გამოაშკარავება, აღმოაჩინეს რა ფაშისტების მიერ წამებული საბჭოთა მოქალაქეების, მებრძოლებისა და ოფიცრების მრავალი საფლავი, გერმანელთა სარდლობამ სასწრაფო ზომები მიიღო, რათა დაეფარა და მოესპო თავის დანაშაულებათა კვალი. ამ მიზნით გერმანელთა სარდლობამ ყველგან მოაწყო საფლავთა გათხრა და ამ საფლავებში მყოფი გვამების დაწვა. ობერ-შტურმფიურერის საგანგებო ბრძანებით, რომელიც დათარიღებულია — „როგონი, 1943 წლის 3 აგვისტო IV ა 1-№ 35/43 სს“ და რომელიც გაეგზავნა კაპენ-კაშირსკის ჟანდარმერიის საოლქო ხელმძღვანელს, ნაბრძანები იყო „დაუყოვნებლივ ეცნობებინათ ცალკე-რეპრესირებულთა საფლავების (საერთოების) ადგილსამყოფელი და რაოდენობა“ ამ ოლქში.

როგონის ოლქის გესტაპოს შენობაში აღმოჩენილ დოკუმენტებს, შორის ნაპოვნია მოხსენებანი ზემოაღნიშნული ბრძანების შესრულების შესახებ; ამ მოხსენებებში ჩამოთვლილია 200-მდე პუნქტი, სადაც აღრიცხული იყო ასეთი საფლავები. ამ სიიდან სჩანს, რომ გერმანელი ფაშისტი ჯალათები იმ საფლავებისათვის, რომლებშიც თავიანთ მსხვერპლებს ნარხავდნენ, უმთავრესად ირჩევდნენ ყრუ და ისეთ ადგილებს, რომლებიც ნაკლებად მისაწვდომი იყო გარეშე პირთათვის. აი ნაწილი ასეთი ადგილებისა:

78. შეპეტოვკა, ტყეში — 3 საფლავი.

79. სლავუტა, ხრეშის სამუშაოებში—ერთი საფლავი.

80. სლავუტა, ტყეში — ერთი საფლავი.

121. გოროხოვი, 1 კილომეტრზე გოროხოვის სამხრეთით, 100 მეტრზე გრეშკოპოლის გზასთან — ერთი საფლავი.

ქალაქის სასაფლაო, დასავლეთ კუთხეში, მარჯვენივ — ერთი საფლავი.

აგრის თიხის კარიერში გოროხოვის სამხრეთით — ერთი საფლავი.

123. ბერესტეჩკო, ჟანდარმთა ყაზარმების ეზოში, დაახლოებით 500 მეტრზე ნარუნჩინის საბჭოთა მეურნეობის ჩრდილოეთით — ერთი საფლავი.

124. ლოკაჩი, 1 კილომეტრზე ქალაქის სამხრეთით (აგრის თიხის კარიერში) — ერთი საფლავი.

125. კიზელინი, დაახლოებით 1 კილომეტრზე კიზელინის ჩრდილო-დასავლეთით, შენობის ნანგრევების ახლოს — ერთი საფლავი.

140. კოველი, ნაგორნაია ქუჩა, ქვიშის კარიერში, 400 მეტრზე ჩრდილ. აღმ. ქვიშის კარიერში, ნაგორნაია ქუჩა, ქალაქის ჩრდ. აღმ. ქვიშის კარიერში, გზის მარჯვენა—ერთი საფლავი.

ვლადიმირის ქუჩა ებრაელთა სასაფლაოს ახლოს—ერთი საფლავი.

საყაროპლის ბაღში—ერთი საფლავი.

მოედნის ქუჩა, ძველი სასაფლაოს ახლოს—ერთი საფლავი.

142. რატნო, 3 კილომეტრზე ქალაქის აღმოსავლეთით, ქარის წისქვილის ახლოს—ერთი საფლავი.

143. კრიმნო, 2 კილომეტრზე ტბის ჩრდილო-დასავლეთით—ერთი საფლავი.

144. მაცეევი, ცარცის კარიერი, 200 მეტრზე და მცველი პოლიციის ყაზარმებს აქეთ —ერთი საფლავი.

145. გოლობი, ტყეში 4 კილომეტრზე ქალაქის ჩრდ.-დას. — ერთი საფლავი.

146. წისქვილი, 2 კილომეტრზე წისქვილის დასავლეთით, ქვიშის კარიერის ახლოს—ერთი საფლავი.

147. მანევიჩი, 2,5 კილომეტრზე ქალაქის დასავლეთით ქვიშის მთაში—ერთი საფლავი.

149. ოსერანი, 5 კილომეტრზე სოფლის ჩრდ.-დას. ქვიშის კარიერში ერთი საფლავი.

სიის დასასრულს ნათქვამია: „სიაში გათვალისწინებულია ყველა საფლავი, მათ შორის იმ კომანდების საფლავებიც, რომელნიც აქ წინათ მუშაობდნენ“.

ათეთასობით სწვავდნენ გერმანელი ჯალათების მიერ დახვრეტილი და წამებული სამხედრო ტყვეებისა და მშვიდობიანი საბჭოთა მოქალაქეების გვამებს ხარკოვში, კიევში, როგნოში და მთელ რიგ სხვა ქალაქებსა და რაიონებში ჰიტლერელთა არმიის უკანდახევის გზაზე.

საბჭოთა სამხედრო ტყვეებისა და მშვიდობიან მოქალაქეთა მასობრივი გაჟლეტის შესახებ თავიანთი დირექტივების ზუსტი შესრულების შემოწმების მიზნით ჰიტლერელთა მმართველი ბრიგა „ეგზეკუციების“ უშუალო შემსრულებელთაგან მოითხოვდა, რომ მისთვის წარედგინათ ანგარიში.

უშიშროების პოლიციისა და სდ უფროსი თავისი № 8 ოპერატიული ბრძანების № 2 დანართით მოითხოვდა ზონდერკომანდების უფროსთაგან:

„გამოყენებული რეპრესიების აღსარიცხავად კომანდებმა უნდა აწარმოონ სიები, რომლებშიც უნდა იყოს შემდეგი ცნობები: რიგის ნომრები, გვარი და სახელი, დაბადების დრო და ადგილი, სამხედრო წოდება, პროფესია, უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილი, საფუძველი რეპრესიისათვის, რეპრესიის დრო და ადგილი“.

შემდეგ ბრძანებაში ნათქვამი იყო, რომ „ასეთი ცნობები, როგორც წესი, ინფორმაციული წესით უნდა გადაეცეს საიმპერიო უშიშროების მთავარი სამმართველოს IV სამმართველოს I განყოფილებას (IV ა 1)“. ამ დირექტივის „განსავითარებლად უშიშროების პოლიციისა და სდ ც/5 ოპერატიული კომანდა აზუსტებს:

„ყოველი თვის დამლევს საჭიროა წარმოდგენილ იქნას აქ ანგარიში სდ კომანდების საქმიანობის შესახებ სამხედრო ტყვეების სტაციონარულ ბანაკებში. საჭიროა აღინიშნულ იქნას ლიკვიდაციათა რაოდენობა ეროვნების მიხედვით, ინსტრუქციებში მოცემული დირექტივების შესაბამისად“.

თუ როგორ სრულდებოდა ზემონაჩვენები ყველა დირექტივა, ამას მოწმობს მე-7 ოპერატიული კომანდის 1941 წლის 4 დეკემბრის მოხსენება (ობერშტურმბანფიურერ ლიპერისა ბრიგადფიურერ „დოქტორ“ ტომასისადმი) ვინიცაში. ამ მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ვინიცის ბანაკში, ბანაკის ეგრეთწოდებული „ფილტრაციის“ შემდეგ, სულ 25 კაცი დარჩა, რომლებიც შეიძლებოდა მიგვეკუთვნებინა „საეჭვოთა“ კატეგორიისათვის“.

„ეს განაზღვრული რაოდენობა,—წერია ამ მოხსენებაში,—იმით აიხსნება, რომ ადგილობრივი ორგანოები ყოველდღე ხმაროობდნენ საჭირო ღონისძიებებს უშიშროების პოლიციის ხაზით სამხედრო ტყვეებისა სტაციონარულ ბანაკებში მყოფი უარყოფითი პირების წინააღმდეგ; ამ ორგანოებს კონტაქტი ჰქონდათ კომანდებთან ან კონტრდაზვერვის სათანადო ოფიცრებთან“.

ამრიგად, მასობრივად სიკვდილით დასჯის კარდა, რასაც ამისათვის სპეციალურად შექმნილი ზონდერკომანდები აწყობდნენ, ფართოდ იყო შემოღებული საბჭოთა ადამიანების სისტემატური ჟლეტა კომენდანტებისა და მათ ხელქვეით მყოფი საბჭოთა სამხედრო ტყვეების ბანაკთა კომანდების მიერ.

5. ჰიტლერელები დანაშაულებრივად თელავენ საერთაშორისო სამართლის ნორმებს. ომის წარმოების კანონებსა და ადათებს

ფორმალურად ჰიტლერულ ბანდიტებს არასოდეს არ განუცხადებიათ, რომ ისინი ხელს იღებენ ომის წარმოების საერთაშორისო წესებზე, რაც აღნიშნულია სხვადასხვა საერთაშორისო კონვენციებში და მოითხოვს სამხედრო ტყვეებისადმი ჰუმანურ მოპყრობას. უფრო მეტიც, ჰიტლერულმა მთავრობამ 1934 წელს რატიფიკაციაც კი უყო ჟენევის 1929 წლის კონვენციას „სამხედრო ტყვეების შენახვის შესახებ“.

მაგრამ ის, რომ ჰიტლერული მთავრობა შეუერთდა სამხედრო ტყვეების შესახებ არსებულ საერთაშორისო კონვენციებს, ნაკარაუდევი იყო მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის მოსატყუებლად, რაც დადასტურდა ამ ომის დაწყებიდანვე და განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ჰიტლერული გერმანია ვერაგულად დაესხა თავს სსრ კავშირს.

უშიშროების პოლიციისა და სდ უფროსის № 14 ოპერატიული ბრძანების № 1 დანართში ცინიკურად არის განცხადებული, რომ:

„ბოლშევიკმა ჯარისკაცმა დაჰკარგა ომის უფლება, რომ მას მოვეპყრათ როგორც პატიოსან ჯარისკაცს და ჟენევის კონვენციის შესაბამისად“.

ამრიგად, საბჭოთა სამხედრო ტყვეების წინააღმდეგ ჩადენილ თავიანთ საზარელ დანაშაულებათა მიფუჩეჩებას ჰიტლერელი ბანდიტები იმით ცდილობენ, რომ ცინიკურად იმტზეზებენ, ვითომდა შეუძლებელი იყოს სამხედრო ტყვეებისადმი მოპყრობის საერთოდ მიღებული წესების გამოყენება საბჭოთა ადამიანებისადმი.

დოკუმენტალურად დადგენილია აგრეთვე, რომ გერმანელ ფაშისტთა სარდლობისა და პოლიციის დანაშაულებრივ გეგმებში შედიოდა „ეგზეკუციების“ და „გამაწმენდ ღონისძიებათა“, ე. ი. მასობრივი ჟლეტის გამოყენება პოლონელი ინტელიგენციის მიმართაც. ამას სავსებით აშკარავებს უშიშროების პოლიციისა და სდ უფროსის № 2 ოპერატიული ბრძანება, რომელიც დათარიღებულია: „ბერლინი, 1941 წლის 1 ივლისი“ და რომელშიც ნათქვამია შემდეგი:

„ახლად ოკუპირებული ოლქების, განსაკუთრებით ყოფილი პოლონეთის ტერიტორიის, მცხოვრები პოლონელები, მათი გამოცდილების საფუძველზე იმოქმედებენ როგორც ანტიკომუნისტურად, ისე ანტისემიტურად“.

„ამიტომ, თავისთავად ცხადია, რომ ამგვარად განწყობილი პოლონელების წინაა